

საიდ. №77083/03

IR 1200768

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №100-03/15

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ „საქპატენტთან“ არსებული სააპელაციო პალატის კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით: ს. მუჯირი (თავმჯდომარე), ლ. ახოზაძე, ს. ებრალიძე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 199-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ პუნქტისა და 2015 წლის 06 აგვისტოს №ა-193 სააპელაციო საჩივრის საფუძველზე, ზეპირი მოსმენის გაუმართავად განიხილა კომპანიის „ჰამბერგერ ინდუსტრივერკე გმბჰ“ (HAMBERGER INDUSTRIEWERKE GmbH) სააპელაციო საჩივარი (საიდ. №100-03/15), რომლითაც მოითხოვება „საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭების შესახებ საქონლისა და მომსახურების განცხადებული ჩამონათვალის ნაწილის მიმართ“ „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2015 წლის 23 აპრილის №1568/03 ბრძანების ბათილად ცნობა და საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის „HARO“ (საიდ. №77083/03, IR 1200768) დაცვის მინიჭება

საქართველოში საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ (მე-19 და 27-ე კლასი).

საქპატენტის სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2015 წლის 23 აპრილის №1568/03 ბრძანებაზე თანდართული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, განცხადებული ნიშანი „HARO“ მსგავსია შპს „ქაჭვეჯი პარკეტი“-ის მიერ საქპატენტში რეგისტრირებული ლათინური ანბანით შესრულებული ნიშნისა „HARO“ (რეგ. N23367, რეგ. თარიღი: 27/02/2013). ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, დაპირისპირებული ნიშნები ჟღერადობით იდენტურია, მათ განასხვავებს მხოლოდ ფერები, ეს კი ქმნის მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობას მე-19 კლასის საქონლის მსგავსი ჩამონათვლისათვის. რაც შეეხება 27-ე კლასის საქონელს, საქონლისა და მომსახურების საერთაშორისო კლასიფიკატორის (ნიცის კლასიფიკატორი) მე-10 რედაქციის შესაბამისად 27-ე კლასი არ მოიცავს: „იატაკის ხის საფარ“-ს, აღნიშნული საქონელი შედის ზემოაღნიშნული კლასიფიკატორის მე-19 კლასის ჩამონათვალში. ეს კი ქმნის მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობას მე-19 კლასის საქონლის სრული ჩამონათვლისათვის და 27-კლასის საქონლის ჩამონათვლის ნაწილისათვის. აღნიშნულის გამო, „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, განცხადებულ საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს უარი ეთქვა დაცვის მინიჭებაზე საქართველოში მე-19 და მე-17 კლასის საქონლის განცხადებული ჩამონათვალის ნაწილის მიმართ.

კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის მასალები, წარმოდგენილი დოკუმენტები და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

აპელანტის წარმომადგენელი თავის სააპელაციო საჩივარში მიუთითებს, რომ დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნის მფლობელმა კომპანიამ მიმართა

საქპატენტს დაპირისპირებული ნიშნის „HARO“ (რეგ. N23367) რეგისტრაციის გაუქმების მოთხოვნით. აღნიშნული მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში, აღარ იარსებებს დაპირისპირებული ნიშანი, შესაბამისად აღარ იარსებებს განცხადებული საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის „HARO“ (საიდ. №77083/03, IR 1200768) დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის საფუძველი.

კოლეგიამ განიხილა აპელანტის არგუმენტაცია, შეამოწმა წარმოდგენილი დოკუმენტები და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქპატენტის სასაქონლო ნიშნების მონაცემთა ბაზის თანახმად, დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნის მფლობელმა შპს „ქაჭვეჯი პარკეტმა“ 2015 წლის 06 აგვისტოს მიმართა საქპატენტს განცხადებით, დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნის „HARO“ (რეგ. N23367) რეგისტრაციის გაუქმების მოთხოვნით. „სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის გაუქმების შესახებ“ საქპატენტის სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის 2015 წლის 15 სექტემბრის N1630/03 ბრძანების საფუძველზე, გაუქმდა დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან, გაუქმდა დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი, ადგილი აღარ აქვს „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ გარემოებას, რომლის თანახმად, სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ იგი „მესამე პირის სახელზე რეგისტრირებული, უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე სასაქონლო ნიშნის მსგავსია, ხოლო საქონელი – იდენტური ან იმდენად მსგავსი, რომ ჩნდება ამ სასაქონლო ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა“.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით

დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. კომპანიის „ჰამბერგერ ინდუსტრივერკე გმბჰ“ (HAMBERGER INDUSTRIEWERKE GmbH) სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.
2. ბათილად იქნას ცნობილი სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2015 წლის 23 აპრილის „საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭების შესახებ საქონლისა და მომსახურების განცხადებული ჩამონათვალის ნაწილის მიმართ“ №1568/03 ბრძანება.
3. საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს „HARO“ (საიდ. №77083/03, IR 1200768) მიენიჭოს დაცვა საქართველოში საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.
4. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17). გადაწყვეტილების გაცნობიდან/ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე:

ს. მუჯირი

წევრები:

ლ. ახოზაძე

ს. ებრაელიძე